№ 253 10 დეკემბერი, პეირა 1866—1878 10 დეკემბერი, პეირა № 253

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, №. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, №. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ. ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

УЧАСТЕЛ ДЕЛЕ ОДНОЖДЫ В НЕДЕЛЮ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურსა და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ადგილებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ

ᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაწილში, რომელსაც ადრე ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ საქართველოს ეძახდნენ და რომელიც ახლა ჩვენ შემოგვეერთდა, როგორც მოგეხსენებათ, დაწესდა ისეთივე გამგეობა, როგორიც საზოგადოთ ᲙᲐᲪᲙᲐᲘᲘᲡ მთიულ ხალხების გამგეობაა.

მთელი ამ მხრისაგან შესდგა ერთი სამხედრო ოლქი—ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ, რომელიც მაზრებად და უჩასტკებად არის დაყოფილი. ᲝᲚᲥᲘᲡ უფროსად ითვლება ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ოლქის სამხედრო ღუბერნატორი, თითოეულ მაზრასა და უჩასტკას თავის საკუთარი უფროსი ჰყავს.

Რამდენათაც ჩვენ ვიცით, ჯერ საბოლოოთ გამოკვლეული და შედგენილი არ არის ყველა ის კანონები და წესდებანი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ოლქის გამგეობის დროს. Ვიცით მხოლოოთ ეს, რომ იქაურმა მთავრობამ რუსის კანონებთან ადგილობრივი კანონები და ადათებიც უნდა მიიღონ მხედველობაში.

Მაგრამ ამისთანა ქვეყანაში გამოკვლეულ და კარგ კანონებზე უფრო მომეტებული გავლენა ხალხის ბედზე აქვთ გამგებელ პირთ, იმ პირთ, რომელთაც ამ კანონებისა და ადათების შესრულება აქვთ მინდობილი.

Კარგი გამგებელი, პატიოსანი ადმინისტრატორი და მოსამართლე ოვით სასტიკ კანონსაც მუბუქად გაატარებს და ცუდი კი, რაც უჩდა სამართლიანი და ლმობიერი კანონები იყოს, ხალხს ხეირს ვერ დააყრის, კანონის სიკეთეს ვერავის აგრძნობინებს.

Ამიტომაც, ჩვენის ჰაზრით, უპირველესი ადგილი ამ ახლად-შემოერთებულ მხრის გამგეობაში კარგი კ ცების, პატიოსანი მოხელეების დანიშნვას ეკუთვნის და არა მაინცა-და-მაინც კარგ თ შედგენილ კანონების გამოცემას. საჭიროა ისეთი მოხელენი, ისეთი ჩინოვნიკები და გამგენი, რომელთაც იცოდნენ ხალხის ენა, ხასიათი, ჩვეულება და რომელნიც ამასთანავე იმდენათ პატიოსანნი და კეთილ-გონიერნი იყვნენ, რომ თავის ლმობიერი მოქმედებით და ყოველი საქმის სამართლიანი გარდაწყვეტილებით ხალხს შეაყვარონ ახალი მმართებლობა, ახალი წესები.

Მადლობა ღმერთს, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ოლქში დაყენებულ ჩინოვნიკებზე საზოგადოთ ცუდი და გასაკიცხი ჯერ მაგდენი არა გვესმის-რა; თითო-ოროლა წერომალ მოხელეებზე გვწერენ მხოლოოთ, რომ იქაც დაუწყიათ თავიანთებური ხელობა, ქრთამი, მიდგომა და სხვა ამგვარები. Რასაკვირველია, უამისობა ძნელია; მაგრამ კარგი იქნება, რომ ამისთანა ჩინოვნიკებს ავარიდებდეთ ამ თავით მაინც ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ოლქსა.

Ავარიდებდეთ იმიტომ, რომ ახლა იქ რაც შეიძლება მომეტებული სიფრთხილე და წინდახედულობა გვეჭირება: ჯერ ხეირიანად არ გვიცნობენ, ერთს უბრალო რასმე მოქმედებას სრულიად სხვა ნაირად ახსნიან....

Და ამისთანა ხმებს, ამ გვარ შემთხვევას ჩვენ უნდა ვერიდებოდეთ, თუ გვინდა მართლა, რომ ასე მოულოდნელად შეძენილი ჩვენი ძმები მოულოდნელადვე და უეცრად არ დავკარგოთ ისევ, თუ გვინდა, ერთის სიტყვით, რომ ისინი თავიანთ ქვეყნიდამ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ არ გადაიხვეწნონ და ეს მშვენიერი, ყოველის

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲐᲡᲚᲐᲐᲗᲘ

Მასლაათის შეწყვეტის მიზეზი.—ᲝᲛᲘ გარეთ და ᲝᲛᲘ შიგნით.—Მთავარ-სარდალი შიგნითი ბრძოლისა.—ნ. ნიკოლაძე და იმის „ᲝᲑᲖᲝᲠᲘ“.—Რას ვფიქრობდით იმაზე სამის წლის წინათ?—Იმის ახალი ხასიათები.—მხნეობის მიზეზი.—Მანერა პოლემ კისა.—ᲥᲐᲗᲐ როგორც უნდა გადაგდო, ფეხზე დაგება.—შედარება პოლდა-ᲥᲐᲡᲡᲐᲜᲘᲐᲙᲘᲡᲐ და ნ. ნიკოლაძისა.—ᲑᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲑᲔᲕᲠᲛᲐ მღერიე და სუფთა წყალმა ჩაიარა, ᲑᲔᲕᲠᲘ მიქელა მოკვდა და ᲑᲔᲕᲠᲘᲪ დაიბადა მას აქეთ, რაც მე უკანასკნელად ეემასლაათებოდი ჩემს მკითხველს.

ᲑᲔᲕᲠᲘ უმანკო და მანკიანი სისხლი დაიღვარა, ᲑᲔᲕᲠᲘ ფუთი თოფის-წამალი დაიხარჯა, ᲑᲔᲕᲠᲘ ჩხუბი, ბრძოლა და დავი-დარბა გამოვიარეთ მას აქეთ. ᲑᲔᲕᲠᲘ ზარბაზნის ზუზუნი გავიგონეთ, ᲑᲔᲕᲠᲘ ხმლის ტრიალი დავინახეთ...

Ვის ჰქონდა ჩვენი მასლაათის სმენის თავი ამისთანა დროში? ჩვენს ტკბილ ტიტინს ვინ მოისმენდა, როდესაც ყურები ყველას ᲥᲠᲣᲪᲘᲡ ზარბაზნის ზუელით ჰქონდა გაჭედილი, თვალები დაბრმავებული მოელვარე იარაღების ქნევითა და გონება დახშობილი ადამიანის ხოცვა-ჟლეტითა და სისხლის ნაკადულითა, რომელიც ორის მხრით ჩადიოდა შავს ზღვაში!..

ბრძოლა გათავდა. Დამყარდა მშვიდობიანობა. Მართალია, როგორც ახალწლის ნაშუალამევის შემდეგ, გათენებისაკენ მოისმის ხოლმე აქა-იქ თოფის-ოროლა, ისე ახლაც კიდევ თითო-ოროლა თოფი გავარდება; მაგრამ ეს არის მხოლოოთ უკანასკნელი სულის-ღაფვა, უკანასკნელი ნიშნები გავლილის ბრძოლისა, დამშვიდებული არე-მარესი. Ვინ იცის, ამ სისხლის-ღვრას იქნება მალე ახალი ახალწელიწადი დაუდგეს, იქნება მალე ახალი ჭახა-ჭუხი და ჩახა-ჩუხი გაჩნდეს,—ყველაფერი შესაძლებელია ამ ცოდვიან დედა-მიწაზე და ახლანდელ დაუდეგარ დროში; მაგრამ ახლა კი ბრძოლა მაინც გათავებულად ითვლება!..

Მაშ ეგრე, რადგან მშვიდობიანობაა და გონება, ყურები და თვალები შესვენებული გვაქვს, იქნება ახლა მომაპყრას ყური ჩემმა მკითხველმა და სხვა რამე გამიგონოს.

Არც ისეთს საგანზე გადავალ, რომელიც მაინც-და-მაინც ბრძოლაზე, ბრძოლის ველზე, შეტაკებაზე და სისხლის-ღვრაზე ერთობ მოშორებული იყვეს...

Აქაც ბრძოლა იქნება, აქაც იქნება ბრძოლის ველი, შეტაკება და ღვრა, თუმცა არა სისხლისა.

მე მოგახსენებთ იმ გაუწყნარებელ ბრძოლაზე, რომელიც გარიგანი ᲝᲛᲘᲡ შემდეგ, ატეხილია შიგნი, ჩვენში, და რომლის მთავარ-სარდლად ითვლება უფ. ნ. Ი. ნიკოლაძე, ბრძოლის ველად—იმის გაზეთი „ᲝᲑᲖᲝᲠᲘ“ და როდესაც უმანკო სისხლის ღვრის მაგიერად ჩვენ ვხედავთ შეუბრალებელად ღვრას ალიზარინის უმანკო მელნისას, მოელვარე ხრმლის მაგიერ წამწვეთებულ კალმის წვერს, ვხედავთ მსხვერპლებს—გაკაწრულებს, დაჭრილებს და ტალახში ამოსვრილებს!..

Პირველი ადგილი ამ შინაგან ბრძოლაში, როგორც მოგახსენეთ, უფ. ნიკოლაძეს და იმის „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ ეკუთვნის.

Ამ სამი წლის წინათ, მაისში 1876 წელს, როდესაც ქვემორე ამისა ხელის-

ბუნების სიუხვით შემკობილი მხარე უდაბურ და გაველანებულ მხარედ არ გარდგეფქცეს.

რადგან მთავრობა ცდილობს, რომ, კეთილად მოპყრობითა და სამართლიანის წესების დამყარებით, არ აფიქრებინოს ამ ხალხს ოსმალეთში გადასახლება, რადგან რუსეთს, რომელსაც ღვთის წყალობით ცარიელი და დაუსახლებელი ადგილები უმისოთაც საკმაოდ აქვს-ჰსურს, რომ ეს ბათუმის მაზრაც არ დარჩეს უდაბნოთ, ჩვენ, ქართველებს, უფრო არ უნდა გვსურდეს ეს, იმ ქართველებს, რომელთაც ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ დაგვაკლდება ამათ გადასახლებით?

ამ სიტყვებს მივმართავ მე იმ ქართველ ჩინოვნიკებს, რომელნიც ამ ჟამად მსახურებენ ბათუმის ოლქში. პატიოსნად სამსახურის შესრულებით ისინი არათუ მარტო თავის სინიდისს დააკმაყოფილებენ; არამედ საზოგადო, სამშობლოს თანაგრძნობასაც და მადლობას დაიმსახურებენ...

შემდეგ ნომერში ჩვენ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმაზე—თუ როგორ უნდა წავიდეს ბათუმის ოლქში ადგილმამულისა და სხვა-და-სხვა წოდებათა კანონისაგან აღიარების საქმე...

ს. მ.

დღიური

*** ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში“ გამოცხადებულია, რომ ბათუმში, ყარსში, არტაანში და სარაკამიშში გახსნილა ფოჩტა; ამ მოკლე ხანში კიდევ გაიხსნებაო ართვინში, არდანუჯში და ყარსის მაზრის ზოგიერთ ქალაქებში. ბათუმისაკენ ფოთიდამ კვირაში სამჯერ მიდის ხომალდი, რომელზედაც მიაქვთ ფოჩტა. ბათუმიდამ ბორჩხას, ართვინს, არდანუჯს და იქით არტაანისა და ოლთისაკენ მარტო ცხენის გზა არის და ფოჩტაც ცხენებით გადაქვთ.

*** ბამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ძთავრობას უფლება ეძლევა, რომ გახსნას და წაიკითხოს წიგნები და ტელეგრამმები იმ პირთა, რომელნიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი.

*** დღეანდელს „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ერთი ჩინებული სტატია „Причины недоразумѣній въ судѣ“, რომელშიაც ავტორი მშვენიერად, საბუთიანად ამტკიცებს, რომ ძალიან ბევრი უსამართლობა, უკანონობა ხდება ჩვენშიო და ბევრი უმანკო ბრალდებული იღუპება იმის გამოო, რომ ჩვენს სასამართლოებში ხელრიანი შოენები (თარჯიმნები) არ მოიპოვებიანო.

ბოლოს ავტორს ის დასკვნა გამოუტანია, რომ მართლ-მსაჯულებისა და კანონის რიგიანათ ასრულებისათვის აუცილებელი საჭიროება არისო, რომ სამშობლო ენების სწავლას უფრო მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეულიო და არ იყოს ისე დაცემული, როგორც ახლა არისო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. არწრუნის ქართულ-სომხური თეატრი, რომელსაც ზემოხსენებული პირი თავის გალერეიაში აშენებს, ამ ორი-სამი თვის განმავალობაში სრულიად მზად იქნებაო.

*** ბამოვიდა რუსულს ენაზე და ისყიდება ახალი „კავკასიის კალენდარი“, რომლის გამოცემა წლევანდელი წლიდამ უფ. ნ. შავროვს უკისრნია.

ამ კალენდარში ჩვეულებრივზე უფრო მომეტებული ცნობებია. მაგრამ ერთის თვალის გადაელებით ჩვენ შევნიშნეთ, რომ შემდგენელს ზოგიერთი ძველი ცნობებით უსარგებლნია; მაგ. თათრული გაზეთი „აკინჩი“, რომელიც შარშან მოისპო, უფ. შავროვის კალენდრით, ახლაც გამოდის (ფურც. 169); არხიეპისკოპოსი ევსევი ახლაც საქარ-

---

მომწერელი თავის მეგობრად და თავის ბანაკის კაცად სთვლიდა უფ. ნიკოლაძეს, შემდეგი სიტყვებით გამოხატა ამ კაცის ხასიათი:

„ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა სთქვა ნ. ნიკოლაძეზე, რომ ვეფხვს ჰგავსო, მაგრამ ამ ვეფხვს ძარღვებში, სისხლის მაგიერ, რძე უდგასო.

„თუმცა ჩვენს თანამედროე საზოგადოებაში ვეფხვობა მაინც-და-მაინც დიდი არაფერია, მაგრამ ნ. ნიკოლაძეს ვეფხვობამდინ ჯერ ბევრი აკლია. ამ შედარებაში მართალი მხოლოთ ერთია: როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხვი არასოდეს არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთს კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორეთ ისე ნ. ნიკოლაძე მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათის კაცი. მუდამ მოწინააღმდეგეს ეძებს, კბილებს ილესავს, თითქო განგებ უნდა მტერი გაიჩინოს საბრძოლველადო და თუ ვინმე გამოაგდო ასპარეზზე, აღტაცებაშია, ნამდვილად მხოლოთ მაშინ ცოცხლობს.

„ჩხუბი, ბაასი, ბრძოლა ისეთს საჭიროებას შეადგენს იმისთვის, როგორც წყალი თევზისათვის...“

ამ ჰაზრის ვიყავით ჩვენ უ. ნიკოლაძეზე ამ სამის წლის წინათ.

მას აქეთ იმან გაიჩინა თავის საკუთარი გაზეთი (ანუ „საკუთარი დუქანი“, როგორც თვითონ ამბობს) და ზოგიერთი წერილმალი ნაკლულევანებანი იმის ხასიათისა ისე აშკარად გამოჩნდნენ, ისე გაიზარდნენ, ისე გამსხვილდნენ, რომ ეს ვეფხვი კატად იქცა....

უმთავრესი თვისება იმის ხასიათისა—ბრძოლის წყურვილი, თუ შეიძლება ასე ესთქვათ, ახლაც დარჩა. მაგრამ მაგიერად ამასთან ერთი რამეც შეიძინა: იარაღის დაუდევნელობა თავის მოწინააღმდეგის დასამარცხებელად, პაწაწინა კლანჭებით ველას კაწვრა.

ყოველ იარაღს იხმარს, არავითარ საშუალებას არ დასდევს, თუ კი, თავის ჰაზრით, დარწმუნებულია, რომ ეს იარაღი და საშუალება მტრის დასამარცხებელად გამოადგება. ლანძღვა, გინება, შენი სიტყვების გადასხვაფერება, ბრძოლის ველიდამ გადახტომა, ცილის-წამება,—ყველაფერი გამოსადეგია იმისთვის, თუ კი შეგეტაკა.

„სულელო!“ „იდიოტო!“ „ძპილებს ამოგამტვრევს“! „ებას დაგილეწავ!“ „უსინიდისო!“ „მახინჯო!“ „ტყავზე დაგწერ!“ „ერთის ხელის მოქნევით გაგაქრობ!“ „ბაგანადგურებ!“ „ბრიყვო!“ „შეცარო!“ და სხვა ამისთანა სიტყვები ათასი ერთ გროშად ულირს!

ბანსაკუთრებით მხვრა უფ. ნიკოლაძე როდესაც ჰხედავს, რომ იმის სიტყვებს მოწინააღმდეგეზე რაიმე გაელენა აქვს. ორ მაგალითს მოგიყვანთ: სანამ იმან არ შეიტყო, რომ იმის სიტყვებს უფ. ბ. ლოლაბერიძის ნერვებზე ცუდი ყაელენა აქვს, მანამ ხან-და-ხან გადაჰკრაედა ხოლმე ძუთაისის ბანკს. მაგრამ უთხრეს თუ არა, (მართალი თუ ტყუილი—არ ვიცით), რომ ბ. ლოლაბერიძე ავათ გახდა იმის სტატიებისაგან, რომ იმას ღამე აღარ აქვს ძილიო,—მოუხშირა და მოუხშირა ლანძღვა და რაც ღონე ჰქონდა, უნდოდა ტალახში ამოესვარა. მეორე სწორეთ ამისთანა მაგალითს წარმოადგენს უფ. ი. ბოგებაშვილი, რომელსაც უიმისოთაც დასუსტებული ნერვები აქვს და რომლის ერთ ღამის ძილის გატეხა უფ. ნიკოლაძეს ასე ახარებდა, როგორც ბავშს სააღდგომო კვერცხი გაეხარდება.

დამეთანხმეთ, რომ ეს გმირის ხასიათი არ არის.

მაგრამ ამაზე უარესი იარაღების ხმარება იცის ჩვენმა რაინდმა თავის მტრის წინააღმდეგ:

სანამ შენ იმის მეგობარი ხარ, სანამ იმის ნაწერი და ყოფა-ქცევა მოგწონს, შენზე უკეთილშობილესი, შენზე უჭკუესი და უპატიოსნესი კაცი დედა-მიწაზე არ მოიპოვება. მაგრამ გასწყრა ღმერთი და ერთი რამ მცირედი ნაკლულევანება შეამჩნია, რომელიმე იმის ჰაზრი ან მოქმედება არ მოიწონე.

იმწამსვე სულელიც შეიქენი, ბრიყვიც, უპატიოსნო და უსინიდისოც!

ბუშინ სთქვა, თუნდა ბეჭდვითაც, რომ შენ კარგი კაცი ხარ, რომ შენ ქვეყნისთვის სასარგებლო მოქალაქე ხარ, რომ შენს მოქმედობაში კაცი ლაქას ვერ ნახავს.

დღეს შენ გაბედე იმის გაჯავრება? შენისთანა მაენებელი ადამიანი დედა-მიწაზე არ დაბადებულა! შენისთანა ბრიყვი სანთლით ვერ მოინახება! შენს ცხოვრებაში ერთი იოტი პატიოსნება არ მოიპოვება! შენი მოქმედება ბოროტ-მოქმედებაა! სულელი ხარ! ბაგაქრობ დედამიწის ზურგიდამ!

იყო დრო, როდესაც ვფიქრობდი, რომ უ. ნიკოლაძეს შეეძლო საქმის გაკეთება საქმის გაკეთებისათვის და არა სხვა რაიმე მიდრეკილებით.

წავიდა ის დრო. „ობზორის“ გამოცემამ და ამ უკანასკნელი წლის იმის ლიტერატურულმა მოქმედებამ დამარწმუნა, რომ ერთად-ერთი აღმძვრელი ძალა იმის მოქმედებისა და მწერლო-

თველოს ეგზარხოსად არის (ფ. 170); მიცვალებული კამერგერი ტალიზინი ახლაც არხეოლოგიურ საზოგადოებისა და ხელოვნების თავსმჯდომარედ ითვლება (ფ. 182 და 185); ფოთის ურთიერთ კრედიტის ბანკი, რომელიც თითქმის ორი წელიწადია დაიხურა, ალექსანდრის სიტყვით, ახლაც არსებობს და სხვ.

*** რადგან არც დღეს და არც გუშინ რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის ფოსტა არ მოგვსელია, ამის გამო დღევანდელი ნომერი ჩვენის გაზეთისა პოლიტიკურ ახალ ამბებს მოკლებულია.

ქართული (?!) წარმოდგენა

8 დეკემბერს ნემეცების კლუბში

ნათქვამია: „ნაგაზმა რომ კურდღელი გამოაგდოს, დაჭერათ ჩაუვდეო.“

ამისი არ იყოს, სომეხმა რომ ქართული მოანაგაზოს, ისეთ ღვაწლათ ჩაუთვალე, თუნდ კურდღელი დაეჭიროს.

სწორეთ ასე უფიქრია უ. ბაბასუნოვს, როდესაც მისი კომედია: „ა ი შ ე ნ ც ო ლ ი დ ა ს ი დ ე დ რ ი“ დაუწერია. ამას კომედიის სათაურიც ამტკიცებს! ბანა ეს ლექსი: „ა ი შ ე ნ ც ო ლ ი დ ა ს ი დ ე დ რ ი“ გინება არ არის? და როგორი მერე? შუა-ბაზრული!.

დაწერამ თქვენი ჭირი წაიღოს; მაგრამ წარმოდგენა რაღა თავხედობა იყო? ბანა შეიძლება მაყურებლების ისე საცინლათ აგდება?

სწორე მოგახსენოთ, გუშინდელი წარმოდგენა საცოდვაობა იყო!... წარმოიდგინეთ ქვეყნის სისულელე, ისიც უნიჭოთ მოგროვებული, ქართულ-სომხურის სიტყვებით ერთი მეორეზედ გადაბლანდულ-გადმობლანდული, ჩაეარდნილი ისეთის მოთამაშეების ხელში, რომლებსაც სცენა თავის დღეში არ უნახავსთ, და მაშინ ძალა-უნებურათ გაიმეორებთ ავტორისას: „ა ი შ ე ნ ი ც ო ლ ი დ ა ს ი დ ე დ რ ი ო!“

ეს წარმოდგენა ხომ პიესის წარმოდგენა არა ყოფილა!... მაყურებლებს პიესა ხომ არ უნახავთ!!.. იქ იყო ნაძლევი დადებული: ქართული ენა იმ ვითომ-პიესისა, შინაარსი, ე. ი. ჰაზრი, და მოთამაშეები ერთმანეთს დანაძლევებოდნენ: აბა როგორი ვაჯობებთ ერთმანეთს უხეიროობასა და სისაძაგლეშიო?.. ამ ხალხმა უყუროს და გადასწყვიტოსო!...

მაყურებლებს, მართალია, თავისი კი გადაუწყეთ, მაგრამ მაინც კი სამართლიანად გადასწყვიტეს, რომ ნაძლევი სამივეს ერგებათ, რადგანაც ერთი მეორეზედ უკეთესი იყვნენ სიგლახენშიო!...

ვითომ-პიესა გათავდა — ცხოველ-სურათით: ეშმაკისაგან მოწამლულ მასწავლებელის ცოლი მიჰყავდათ ზეცას. ორი ანგელოზი, ჯვრებით, უდგა იქით-აქეთ მხრებში, ცა კარგათ იყო განათლებული. ამ ცხოველ სურათის დანახვამ ერთგვარი სურვილი აღძრა მაყურებლებში: რომ იმ სულის მაგიერ იქვე გაშხვართული ყოფილიყო პოლზედ ავტორი, და ფრთიან ანგელოზების მაგიერ იქით-აქეთ ორი მემათრახე მდგარიყო. მაშინ პუბლიკის აღტაცებას საზღვარი აღარ ექნებოდა და „ბიზის“ ძახილით გაიყრუებდნენ იქაურობას...

დამსწრე

ტელეგრამები

პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	—96	—50
მეორე— — — — — —	—94	—50
მესამესი — — — —	94	—50
მეოთხესი — — — —	94	—50

ბისა ის კი არ არის, რომ ამ მოქმედებით და წერით ქვეყანას რამე სარგებლობა მოუტანოს ანუ რაიმე კეთილ მიზანს მიაღწიოს.

არა; იმის მწერლობისა და მოქმედების აღძძერელი ძალა არის მხოლოთ წვრიმალი, ბავშური თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა.

ოლონდ კი აქე, ოლონდ კი მოიწონე ის, ოლონდ ქვეყანა აალაპარაკოს, და ყირაზე ივლის სახალხოთ; ვინც უნდა იყო, რა ზნეობისა და მიმართულობისაც უნდა იყო, რა გინდ მაენებელი და მტერო იყო ქვეყნისა, თუ კი ის მოგწონს, თუ კი ტკბილი სიტყვა უთხარი რომელსამე იმის ნაწერზე, შენისთანა გონიერი, შენისთანა სასარგებლო კაცი არ გაჩენილა და არც გაჩნდება! პატივის მცემელი ეჭირება, ეჭირება ხალხი, რომელიც იმაზე ლაპარაკობდეს, იმას ადიდებდეს,—ამისთვის თავის სიცოცხლეს შესწირავს, ფეხ ქვეშ გაგიგორდება, ათას საძაგლობას ჩაიდენს, ბრიყულ, უპატიოსნო ჰაზრებს გამოთქვამს, მტერს გაუმეგობრდება და მეგობარს სასიკვდილოთ გადაემტერება.

დღეს ერთს იტყვის, ხვალე მეორეს; დღეს ღმერთს ემსახურება, ხვალ ტარტაროზს; რაც დღეს მოსწონდა, ხვალ საძაგელია,—ყველა ეს მინუტზე, გუნებაზედ, პირველ შთაბეჭდილებაზედ არის დამოკიდებული, იმაზედ—თუ რიგორ შეეხეთ თქვენ იმის პატივის-მოყვარეობას.

პრინციპები, ერთხელვე გაკეთალული გზა, დამჯდარი რწმუნებანი არ არსებობენ იმისთვის: როგორც იმის პატივისმოყვარებას მოუხდება, ისე სწერს, ისე მოქმედობს...

ი ბ ი ს იმერული კუდაბზიკობა და კვეხნა-ტრაბახობა საარაკოდ არის გადაქცეული. რომ ჰკითხო, ერთ დღეს შეუძლიან გაგაქროს დედა მიწის ზურგიდამ და თუ მოინდომა, მეორე დღეს ისევ ცამდინ აგამაღლებს. მწერლობაში ბიორნესთვის, ლესსინგისათვის, დობროლიუბოვისთვის შეუდარებია თავის თავი, ნიჭი და ცოდნა! იმის ჰაზრით, ქვეყანა ძრწის იმის შიშისაგან. ერთის კალმის მოსმით მთას ბარად აქცევს, ბარს მთად, „უწყალსა წყალს ადენს“, ღზვას დაამრობს!

ვსთქვათ დაიჭირე რასმეში: ბეჭდვით სიცრუვე წარმოსთქვა, ან ურიგო ჰაზრი, ან თავის სიტყვებითვე გაამტყუენე, ერთის სიტყვით მიამწყვდიე კედელთან და დააგდე ძირს;—როგორ გვონია დაგემორჩილება თუ? სულაც არა, კატასავით წამოხტება ზეზე და უ-პირის-წყლოთ, აშარ დედაკაცივით მოგვარდება პირში და გეტყვის:

„—მეც მაგას არ ვამტკიცებდიო?“ ან კიდევ სულ სხვა საგანზე დაგიწყებს ბაასს!

ბამოგვიჭედა ყურები, რომ მე არასოდეს არავის პირადობაზე არ მილაპარაკნია ბეჭდვითო. და თუ სადმე მონახავთ პირად შეხებას ჩემს მწერლობაში, უმეცარი, უსინიდისო მწერილი და სხვა, რაც გერჩიოსთ, ის დამიძახეთო.

„თ ფ ი ლ ი ს ი ს მ ო ა მ ბ ე ბ ს“, ერთის მაგიერ, ხუთი წარმოუდგინა იმას ამისთანა მაგალითი.

როგორ გგონიათ, გატყდა ის, ანუ აღიარა თავის თავი იმ სახელების დარქვევის ღირსად, რაც ორი დღის წინათ იხმარა? სულაც არა.—„ა ბ ა ვ ი შ ე ნ ი ნ ა ვ ი ნ ა ი ყ ო ჩ ვ ე ნ ზ ე „თ ფ ი ლ ი ს ი ს მ ო ა მ ბ ე ბ ი ს ა!“ ნეტავი მუდამ ამისთანა სტატიებს გვიწერდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეგიო!“ სთქვა და მორჩა.

ერთი ნიკოლაძისთანა მწერალი ვიცით ჩვენ საფრანგეთის ლიტერატურაში: უფ. პოლ-დე-ქასსანიაკი. მთელს თავის სიცოცხლეს ის თავის მოწინააღმდეგეების ლანძღვა-გინებაში ატარებს. ი ბ ი ს თ ა ნ ა მოხდენილი, გემოიანი გინება კაცმა არ იცის.

პირველად იმის სიტყვა ლახვარივით ესობოდა მოწინააღმდეგეს და ამ დროს იყო, რომ იმას თითქმის მუდამ თვე დუელები ჰქონდა.

მაგრამ გავიდა დრო და ამ გინებით ისე მოაბეზრა ყველას თავი, იმის მოწინააღმდეგეთ ისე მიაჩვიეს ყურები იმის გინებას, რომ ახლა როგორც ძალლის ყეფას არ უგდებს კაცი ყურს, ისე იმის საშინელ გინებასა და უ მ ვ ე რ სიტ ყ ვ ებს..

უ. ნ. ნიკოლაძეს ჯერ ეს დღე არ დადგომია. მაგრამ, თუ არ გაუფრთხილდა, უეჭველია, იმასაც ეს ბედი მოელის; უეჭველია, ძალლის ყეფასავით არაფრად ჩააგდებენ იმის წამ-და-უწუმ გინებას.

და მაშინ რაღა დარჩება? რაღა დარჩება იმ კაცს, რომელსაც მაგარი სიტყვების მეტი „უზურში“ ბევრი არა გააჩნია-რა?!

ამისთანაა ის კაცი, რომელიც შემჩნეულ ლიტერატორად ითვლება ქავკასიაში.

როგორ არა ვსთქვათ, რომ ის ლიტერატურა, რომელშიაც ამისთანა მწერლები შემჩნეულ ლიტერატორებად ითვლებიან, ღარიბი და საწყალი ლიტერატურაა!....

სოლოლაკელი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ. —	93	37
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ —	91	37
ᲝᲥᲠᲝ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ —	8	59
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ— — „— „		
ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ — —	237	50
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ — — —	222	50
1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — —	23—	„ ᲞᲔᲜᲘᲡ
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ— —	116—50	ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ— — —	196—25	ᲤᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ — — —	241—75	ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ—	„—	„ —

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ (ᲓᲣᲛᲘᲡ) ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 16-Ს ᲐᲦᲛᲝᲩᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲗᲐ (ᲒᲚᲐᲡᲜᲔᲑᲘᲡ) ᲐᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲕᲔᲚᲐᲓ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲘᲑᲘᲐᲜ 12 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ (ᲣᲞᲠᲐᲕᲘᲡ) ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, ᲐᲚᲐᲑᲐᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲔᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲜᲔᲜ 15 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲐᲜᲘᲘᲡ (ᲙᲚᲣᲑᲘᲡ) ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, თ. ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲜᲔᲜ 18 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲕᲔ თ. ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲪᲜᲝᲑᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲡ ᲣᲤᲐᲚᲗ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐᲝ: I ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡᲐᲡ — 12 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ, ᲛᲔ-II ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡ — 15 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔ-III ᲠᲐᲖᲠᲘᲐᲓᲘᲡ — 18 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲒᲑᲠᲫᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲐᲗᲡ.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲝᲫᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗ ᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲒᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲘᲥᲓᲐᲛ ᲔᲡ ᲡᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲥᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲔᲑᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

(6—5)

ᲣᲮᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

(ᲝᲑᲗᲝᲠᲔ)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ 1879 ᲬᲔᲚᲡᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲘᲗᲐ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲕᲐᲓᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲬᲐᲡᲐᲬᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲗ: ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ — 15 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡ — 8 ᲛᲐᲜ., ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ — 4 ᲛᲐᲜ. 25 Კ. ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲘᲗ — 1 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐ�პ. ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲮᲣᲗ-ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ Ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, ᲡᲐᲮᲚᲡ № 7. ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ: Въ г. Тифлисъ, въ Редакцію газеты „Обзоръ“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ნ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ Ი. ᲚᲘᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲔᲥ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲒᲝᲠᲨᲘ: ᲫᲐᲛᲝᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: Კ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ. ᲤᲝᲗᲨᲘ: ᲔᲚᲘᲡᲑᲐᲠ ᲑᲐᲑᲐᲚᲝᲕᲗᲐᲜ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲘᲜᲯᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.—

ᲕᲘᲜᲪ 100 ᲔᲒᲖ. ᲔᲠᲗᲐᲗ ᲒᲐᲘᲬᲔᲠᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲘᲐᲠᲘ 15 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲐᲗ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ.—

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲐ ᲑᲔᲭᲓᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲗ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔᲓ: Ი. ᲥᲘᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ 50 ᲙᲐᲞ.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ Ა. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ; **„ᲫᲐᲚᲘ, ᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ“** — ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ, ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ,

ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲔ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲝᲕᲗᲐᲜ, ᲒᲝᲠᲨᲘ: ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲓᲝᲜᲓᲐᲠᲝᲕᲗᲐᲜ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ: თ. ᲕᲐᲜᲝ ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲝᲕᲗᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲨᲕᲔᲗᲨᲘ: თ. ᲜᲘᲙᲝ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲔᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲯᲒᲠᲘᲡᲮᲔᲕᲔᲡ: ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲡᲔ ᲜᲐᲗᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: Კ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ Დ. ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲡ: ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲤᲝᲗᲨᲘ, ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲑᲐᲑᲐᲚᲝᲕᲗᲐᲜ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ თ. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ. — **„ᲪᲝᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ, ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ?“**

ᲠᲙ. ᲒᲖᲐ.	ᲓᲦᲔ.		ᲡᲐᲦᲐᲛ.		II Კ.		III Კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	18	Მ.	ᲙᲐ�პ.	Მ.	ᲙᲐᲪ.
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲒᲝᲠᲘ	11	58	9	43	2	40	1	33
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	1	29	11	57	3	92	2	18
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	5	49			5	81	3	23
ᲠᲘᲝᲜᲘ . . .	6	5			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	7	51			7	73	4	29
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	8	43			8	57	4	76
ᲤᲝ�თᲘ . . .	9	50			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	3						
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	10	14			1	18	-	6
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	6	1	14
ᲠᲘᲝᲜᲘ . . .	12	13			3		1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18	ᲦᲐᲛᲔ.		3	9Ა	2	21
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲒᲝᲠᲘ . . .	7	5	4	8	7	36	4	9
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲪ.
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ.	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, ᲝᲓᲔᲡᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲝᲗᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. .	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐᲨᲘ .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75
ᲤᲝᲚᲩᲘᲗᲐ		
Ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲗ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲘᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨ. ᲚᲮᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. Ბ) ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲘᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲚᲮᲣᲠ-ᲒᲐᲗᲨ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.		
ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲗ:		ᲙᲐᲪ
ᲚᲘᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ		4
Დ.Ბ ᲭᲓᲚᲘᲡ (ᲒᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲚᲘ) .		8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲪ.
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 5 Დ ᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ.		
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲒᲐᲜᲯᲘᲡ, ᲤᲗ.	1	80
ᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . . .	1	60
ᲭᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	1	30
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	20
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	—
ᲒᲐᲞᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲑᲝᲡ ᲤᲣᲗᲘ.	10	—
ᲛᲐᲦᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	7	50
— ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ . .	4	80
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ .	2	—
ᲭᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ	5	80
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗ ᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	7	—
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ Ს ᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲗ.	12	40
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	90
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	—	90
ᲡᲠᲘᲢᲘ ᲕᲔᲓᲠᲝ	4	80
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲤᲣᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	6	40
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲚᲘ, ᲒᲘᲠᲒ. .	—	70
ᲮᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ	12	80
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲘ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲗ.	6	80

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.
ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲜᲖᲔ, Წ ᲜᲐᲛᲫᲚᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.
ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ 1-ᲛᲓᲔ.
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲚᲐᲕᲘᲩᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗ., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ — ᲨᲘᲜ.Გ. Ა.Ბ ᲮᲣᲗᲝᲕᲘ — ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ, ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ — ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲓᲘᲤᲘᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲐᲠᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ.
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ — ᲨᲘᲜᲐᲒ., Ა. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ — ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ.
ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲓᲐ ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ — ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Декабря 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.